ხელშეკრულება №08/03/13.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

31 აგვ. 2017 წ.

ერთის მხრივ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია" (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლდ გროუპ"-ს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების" შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13, მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ნიმ შების საცდელი თერმოსტატული აბაზანების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა ერთეული ფასი და საერთო ღირებულება წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
1.3 კლასიფიკაციის კოდი – 42943000 - თერმოსტატული აბაზანები და აქსესუარები;

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4610.00** (ოთხი ათას ექვსასათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში;
3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის 20ა (ასფალტობეტონის ლაბორატორია).

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტია, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვლენს.
4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-ს ასფალტობეტონის ლაბორატორიის უფროსი ზაზა სირაძე;
4.3 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება 1 (ერთი) წლიანი გარანტია;

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება
5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება;

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით, ხოლო თიკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობაა, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.01%-ს.

7.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებისაგან.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან;

9.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 10 ივნისამდე;

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
აარპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"	**შპს „ლდ გროუპ"**
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140ა/პასტერის ქ. №7	მისამართი: ქ. ბათუმი, ფ. ხალვაშის №107
ს/კ: 402008046	ს/კ: 445469207
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკი: ს.ს ..საქართველოს ბანკი"
კოდი:TRESGE22	კოდი: BAGAGE22
	ანგ:# GE52BG 0000 0005 6940 5200
ლაშა სამ[illegible]	უფლებამოსილი პირი

დანართი №1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
1	უჟანგავი ლითონისგან დამზადებული 1200 ლიტრიანი ნიმუშების საცდელი აბაზანა თერმოსტატით.	1ც	4400.00	4400.00	42943000
2	უჟანგავი ლითონისგან დამზადებული 38 ლიტრიანი ნიმუშების საცდელი აბაზანა თერმოსტატით.	1ც	210.00	210.00	
	საერთო ფასი			4610.00	

„შემსყიდველი"

ლაშა სამხარაძე

„მიმწოდებელი"

უფლებამოსილი პირი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 31 მარტი 2017წ.

ჩვენ ქვევით ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სათვის ნიმუშების საცდელი თერმოსტატული აბაზანების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიმწოდებელი: .....

ლაშა სამხარაძე .....

მამუკა კოპალეიშვილი .....

თეა ბორაშვილი .....

მიხეილ გიგაური .....